TBILISI MUNICIPALITY
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

PROPERTY MANAGEMENT AGENCY

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქონების მართვის სააგენტო

№ 08/6449-8
"08" 06 2015

GRASS REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
ნერილის რეგისტრაციის № 143
თარიღი: 9 06 2015 ნ.

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციის"
ვიცე-დირექტორს პაატა გაფრინდაშვილს

მის. ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №27

ბატონო პაატა,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ეფექტური საჯარო მმართველობის მხარდაჭერის განყოფილებიდან გადმოგზავნილი თქვენი მიმდინარე წლის №11/151281544-17 (რეგისტრ. №08/6449-8) წერილი.

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მთავრობის მიერ 2010 წლის 30 მარტს მიღებული იქნა №08.32.412 დადგენილება სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს შექმნის შესახებ და აღნიშნული დადგენილებით დამტკიცდა სააგენტოს წესდება (დებულება). შესაბამისად:

2010 წელს (9 თვე) სააგენტოში დასაქმებული იყო 56 თანამშრომელი და ხელფასის სახით გაიცა - 873688 ლარი;

2011 წელს სააგენტოში დასაქმებული იყო 60 თანამშრომელი და ხელფასის სახით გაიცა - 1270180 ლარი;

2012 წელს სააგენტოში დასაქმებული იყო 56 თანამშრომელი და ხელფასის სახით გაიცა - 1562115.61 ლარი;

2013 წელს სააგენტოში დასაქმებული იყო 57 თანამშრომელი და ხელფასის სახით გაიცა - 1580254.56 ლარი;

2014 წელს სააგენტოში დასაქმებული იყო 59 თანამშრომელი და ხელფასის სახით გაიცა - 1574285.62 ლარი;

2015 წლიდან დღეის მდგომარეობით სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში დასაქმებულია 58 თანამშრომელი და ხელფასის სახით (მაისის ჩათვლით) გაიცა - 589494 ლარი.

ასევე გაცნობებთ, რომ „ქ. თბილისის მთავრობის მიერ ზოგიერთი ღონისძიებების განხორციელების შესახებ" ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 23 ოქტომბრის №28.30.1043 დადგენილებით სამეთვალყურეო საბჭოები შეიქმნა შპს „ჰერმესში", შპს „თბილსერვის ჯგუფში", შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში", შპს „სინათლის ქალაქში".

თბილისი შარტავას ქუჩა #7
ტელ: (+995 32) 37 81 27 Email: auction@tbilisi.gov.ge
www.auction.tbilisi.gov.ge

აღნიშნული მთავრობის დადგენილებით თითოეულ კომპანიაში სამეთვალყურეო საბჭოს წევრად დაინიშნა 9 ფიზიკური პირი. მათი დანიშვნა მოხდა 2012 წლის 1 ნოემბრიდან ერთი წლის ვადით და შრომის ანაზღაურება (დარიცხული ხელფასი) განისაზღვრა 2500 ლარის ოდენობით და დანიშვნა, გათავისუფლება და მათი შრომის ანაზღაურება ხორციელდებოდა დამფუძნებლის მიერ.

სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებად განისაზღვრა: ნებისმიერ დროს დირექტორისგან (გენერალური დირექტორისგან) საწარმოს საქმიანობის ანგარიშის მოთხოვნა; წლიური ანგარიშების, მოგების განაწილების წინადადების შემოწმება და დამფუძნებლისთვის მოხსენება; დირექტორის (გენერალური დირექტორის) მიერ მომზადებული და წარდგენილი წლიური ანგარიშის დამტკიცება.

ქ. თბილისის მთავრობის მიერ 2013 წლის 2 მაისს მიღებული იქნა №16.03.537 დადგენილება - „ქ. თბილისის მთავრობის მიერ ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების შესახებ“ ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 23 ოქტომბრის №28.30.1043 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და სამეთვალყურეო საბჭოები განისაზღვრა 13 წევრის შემადგენლობით.

ქ. თბილისის მთავრობის 30.12.2013წ. №32.16.1691 დადგენილებით შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები (13 წევრი), ქ. თბილისის მთავრობის 30.12.2013წ. №32.15.1690 დადგენილებით შპს „ჰერმესის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები (13 წევრი), ქ. თბილისის მთავრობის 30.12.2013წ. №32.22.1697 დადგენილებით შპს „თბილსერვის ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები (12 წევრი) და ქ. თბილისის მთავრობის 30.12.2013წ. №32.17.1692 დადგენილებით შპს „სინათლის ქალაქის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები (13 წევრი) 2014 წლის 1 იანვრიდან გათავისუფლდნენ თანამდებობიდან და კომპანიის წესდებიდან ამოღებული იქნა მე-14 მუხლი „სამეთვალყურეო საბჭო“.

პატივისცემით,

სააგენტოს ადმინისტრაციული
სამსახურის უფროსი

ანა მიქელაძე